სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი)

დადგენილება № 01-06-02/46

ქ. თბილისი 3 ივლისი 2019

შპს „ვილა ძარასთვის“ დაკისრებული თანხების გრაფიკით გადახდის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 85-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-11 მუხლის, სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის, პროფ. ქ. ქოქრაშვილის 2019 წლის 01 ივლისის №882366 წერილის, შპს „ვილა ძარას“ მომართვისა და წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) 2019 წლის 3 ივლისის №01-06-02/06 ოქმის საფუძველზე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითმა საბჭომ (სენატი) დაადგინა:

1. შპს „ვილა ძარას“ მიეცეს უფლება სასამართლოს 2019 წლის 18 იანვრის №2/12111-18 გადაწყვეტილებით დაკისრებული 100 066 (ასი ათას სამოცდაექვსი) ლარი დაფაროს არაუმეტეს ორი წლის ვადაში ყოველთვიური გადახდის გრაფიკით;
2. ამ დადგენილების პირველი პუნქტით გათვალისწინებული პირობით დავალიანების დაფარვის შესაძლებლობა შპს „ვილა ძარას“ მიეცეს მხოლოდ დავალიანების შესაბამის თანხაზე საბანკო გარანტიის წარმოდგენის შემთხვევაში;
3. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი)
სპიკერი, პროფესორი **ჯემალ გახოკიძე**